



ნ. ს. ჯ. ლოლუასი

— კაბივცემულო მუოგლეგო გილოცავთ წარჩინების სიგელეს!
აბა, თქვენ იცით, უფროს კლასეზუი როგორ იყოჩალებთ!



ლია წერილი

ნია-გრუზინსკაიას

ბამის ფრონტზე წარგზავნილი საქართველოს დესპანები მაპატიებთ, რომ ნიანავ ასე გვიან გესალმებით!

ჯერ წამოსვლა გადავწყვიტე, „არ იქნება, არ მივაგნო!“ — ვთქვი და უკან დავიხიე — რა გჭირს ნიას სანიანვო?!

ბამის დიად მშენებლობას თქვენც მიეცით დასაბამი! დაამტკიცეთ საქმით, რომ სხვა საქართველო არსად არი!

ნიას თქვენი ვაჟაკური სული ათბობს, გული ათბობს, ამიტომაც მანდ ვერ ნახავ ზარმაცსა და უნიათოს!

თქვენ ტაივას, უსასრულოს, ჭკუის, მკლავის მადლით აესებთ, გავყავთ დედისაქართველო საუკუნის მაგისტრალზე!

ფურცლებს თქვენი ქება-ხობით, შარყებითაც გავანათებ და ნიაში ყურნალების გამოვგზავნი ამანათებს!

დე, ალალი იყოს თქვენზე, ამ ბარათში მე რაც გაქეთ! მჯერა: გმირი ბამელები თავს მოაბამთ ყველა საქმეს!

მჯერა: შრომით, არნახულით, კიდეც უფრო მადლა ახვალთ! მოგილოცავთ ახალ წელს და გამარჯვებებს ახალ-ახალს!

P. S.

ჯერ სადავო არ მაქვს თქვენთან, არ გვირდებით მე სრულებით! თუ დაგვირდეთ, მომწერეთ და უსათუოდ გესტუმრებით!

ნია-გრუზინსკაიას დავალებით —
ზაურ ბოლქვაძე

ფუნჯების პირველი დღიდანვე, ბაიკალ-ამურის მთელ მაგისტრალზე, ღვინო მხოლოდ ოფიციალურ დღესასწაულებზე იყიდება. ეს თვითონ ბამელებმა დააწესეს.

ნია-გრუზინსკაიაშიც ასეთი წესია შემოღებული, მაგრამ, 30 ოქტომბერს, ნია-გრუზინსკაიას მშენებლობის უფროსთან, ანზორ დვალისვილიან, მექანიზატორების წარმომადგენელი მივიდა:

— ბატონო ანზორ! ხვალ გამოსავლელი დღე გვაქვს, თანაც ეს კვირა წელს პირველადა გამოცხადებული ავტორანსპორტის მუშაკთა დღედ. ნება მოგვეცით, ჩვენი დღესასწაული სასადილოში აღვნიშნოთ!

— სასადილოში? ესე იგი, ღვინო გინდათ?!

— აბა, უმაგისოდ რა დღესასწაულია?!

— კარგი!.. მიგიწერთ მალაზიაში, რომ მოგვიდონ, მაგრამ ერთი პირობით — თამადას, სულ ცოტა, 5 თანამემწე უნდა ჰყავდეს... ყველაზე სანდო ხალხი.

— ღვინოს სმაში რომ არავინ მოიტყუოს?

— პირიქით, მეტი რომ არ დალიოს!

„უსაქმური“

ნია-გრუზინსკაიაში, სადაც დიდი და პატარა შრომასა და სწავლაშია ჩაბმული, არის ერთი ადამიანი, რომელიც... არაფერს აკეთებს!

უკეთ რომ ვთქვათ, არ „აძლევენ საშუალებას“, რამე გააკეთოს! თვითონ



მასაც უხარია, უსაქმოდ რომ დადის. ხელფასს კი ღებულობს!..

გავიმხელთ საიდუმლოებას: ეს გახლავთ მილიციის უბნის ინსპექტორი.

რა მისი ბრალია, კანონსა და წესრიგს რომ არავინ არღვევს?! ხულიგნობა, ჩხუბი და დავიდარაბა უმეტესად ხომ სიმთვრალის შედეგია. აქ კი ღვინოს არ სვამენ, არ თვრებიან!..

წელიწადნახევარზე მეტია, რაც აქ ქართველები ჩამოვიდნენ და სამილიციოდ ჯერ საქმე არავის გახდომია. ყველანი ძმურად ცხოვრობენ, ერთ დიდ ოჯახად.

ალბათ, უბნის ინსპექტორი კიდეც დიდხანს იქნება უსაქმოდ!

ეს წერილი რუსთავის მექანიკოსი მოვიდა. სკოლის ერთი მასწავლებელი იწერებოდა:

„ჩვენს სკოლაში ყველა მოწაფე ოცნებობს, ბამზე იმუშაოს, ეს სურვილი, თქვენ წარმოიდგინეთ, პირველკლასელებმაც კი გამოიჩინეს. მე ამ კლასის დამრიგებელი ვარ და ბავშვებს ასე ვუთხარი, ბამზე ის წავა, ვისაც რუსული ენა კარგად ეცოდინება, ამიტომ დღეში ერთი რუსული ასო მაინც უნდა ისწავლოთ-მეთქი! მოხდა მოულოდნელი რამ: ორ დღეში მთელმა კლასმა რუსული ანბანი ზეპირად იცოდა! ახლა დაყინებით მოითხოვენ თქვენთან წამოსვლას. რა ვქნა?“

— რას იტყვით, რა მიგწეროთ მას-

ნია-გრუზინსკაიას მხიარული ქრონიკა

წავლებელს? — ჰკითხა დვალისვილს მღვიანმა.


— მასწავლებელს კი არა, მოწაფეებს მისწერეთ, რაკი ასეთი ბეჯითები ყოფილან, მათი ადგილი ნამდვილად ბამზეა. ჩამოვიდნენ... ჩვენს სკოლაში ადგილს მოგუნხავთ!

მინიფეხბურთი

ქუთაისიდან ჩამოვიდნენ თვითმოქმედი წრეების წევრები. მათ გაახარეს ბამელები ქართული სიმღერებით, ცეკვებითა და მხიარული სკეტჩებით.

დასვენების დღეს მასპინძლებს და სტუმრებს შორის გაიმართა ამხანაგური მატჩი მინიფეხბურთში.

სპორტული დარბაზი ხალხით გაივსო.



თამაში დაიწყო და თავიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო.

პირველი ბურთი მძლავრი და ლამაზი დარტყმით ქუთაისელების ვუნდის თავდამსხმელმა გაიტანა... საკუთარ კარში! რაკი ანგარიში გაიხსნა, ბამელებმა იმავე კარში ზედიზედ კიდევ სამი ბურთი გაიტანეს.

ასეთმა ბობოქარმა დაწყებამ ააღელვა მაყურებლები (მატჩში, ძალაუნებურად, ისინიც „მონაწილეობდნენ“). სპორტდარბაზის სივრცის გამო აუტში გასული ბურთი ხან ერთ გულშემოტკივარს ხვდებოდა თავში, ხან მეორეს. ამ მხრივ ყველაზე მეტად ერთი ქუთაისელი მომღერალი დაზარალდა.

— რა ვქნა, სად დავდგი, რომ ბურთი არ მომხვდეს?! — წამოიძახა შეწუხებულმა ქალმა.

— ბამელების კარში დადექი! — ურჩიეს მას.

ასტრონომი

იმ დღეს ანზორ დვალიშვილი მშენებლებთან პერსონალურ საუბრებს ატარებდა. მის კაბინეტში რიგრიგობით შემოდოდნენ სხვადასხვა სპეციალობის მუშები.

— მოსაცდელში კიდევ არის ვინმე?!

— ჰკითხა დვალიშვილმა მღაევანს.

— ერთი და რჩა.

— რომელია?

— ის გახლავთ... აი, ასტრონომის სახელი რომ ჰქვია... დამაფიქცა... კოპერნიკი თუ ჯორდანო ბრუნო...

— რის კოპერნიკი, რა ასტრონომი?!



თხოვე, შემოვიდეს!

შემოვიდა ახალგაზრდა.

— შენ რა გქვია?

— გალილეი...

— რაო?!

— გალილეი, ბატონო...

— დამცინი?!

— როგორ გეკადრებთ!.. აი პასპორტი!..

პასპორტში მართლაც გარკვევით ეწერა: ნაცვალაიძე გალილეი დანიელის ძე.


სოსო ბეგიაშვილი

თბილისი — ნია-გრუზინსკაია — თბილისი



ნახ. მ. აბაშიანი

— რა გადის დღეს ჩვენს კლუბში?
— წყალი!



ნახ. რ. სანაღირაძის

— კაცო, ამ ახალ ფულსაც არ მიბრუნებ ხურდას?!
— მაინც რომელ ფულში მიბრუნებდი?!



ცნობილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს — მამია ლომიძეს ვარშანიძეს დაბადების 60 წლისთავი შეუსრულდა.

მისი ლექსების პირველი წიგნი — „მებრძოლის სიმღერები“ — 1946 წელს გამოქვეყნდა. ამაჟამად მამია ვარშანიძე ოცზე მეტი პოეტური კრებულის ავტორია. მკითხველებში ფართო პოპულარობით სარგებლობს პოეტის წიგნები — „სიცოცხლის წყარო“, „ფიცო“, „ჩემი ტაძარი“, „მალალი ფიქრები“, „ხიხანის არწივები და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების მესამოცი წლისთავთან დაკავშირებით, მამია ვარშანიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

უტურნალ „ნიანგის“ რედაქცია გულითადად ულოცავს პოეტს სახელოვან იუბილეს. უსურვებს დიდხანს სიცოცხლესა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს!



ფ. 76

მამია ვარშანიძეს

სიყვარულით გიძღვნი ამ ლექსს ჩუმ მამია ვარშანიძეს — კეთილშობილ მამულიშვილს, პოეტს — მბრწყინავს მარჯანისებრ! მე კაცი არ მეგულება, ვინც შენ სულში არ ჩაგიძვრენს! გლოცავს მიწა აჭარისა, აჭარის ცა, აჭარის მზე! არწივები ხიხანისა იყვნენ შენი წინაპრები! შენს ტაძარში კიაფობენ

მემორიული უარში ა. ფირცხალავასი

მათზე ლოცვის სინათლენი! შენ გაგზარდეს „დედა“ და „სამშობლო ხევისურისამ!“ საქართველოს წარსულს ხატავ, იმ წარსულთ შეძრული ხარ! ხუთი წელი ფრონტზე იყავ, გადალახე გზის სიძნელე და „მებრძოლის სიმღერები“ ტყვიის ცეცხლში სისხლით წერე! მართალი და გაუკაცური, ზოგჯერ — ნაღველ-სევდიანი — მე მახარებს შენი ლექსი, შიგ ღვთიური ცეცხლი არის! სიყვარულმა აგამაღლა, დამე ცაში გათევენა, პოეტური აღსარებაც სიყვარულმა გათქმევინა! ვამბობ: „ლექსით მამიამა ტკივილები დამიამა! მიმეურნალეს, მომარჩინეს სტრიქონებმა წამლიანმა!“ ხარ სიკეთის, სიალალის, სისპეტაკის მარშალი შენ — გულნათელი, სულნათელი, შუბლნათელი ვარშანიძე! დიდებულად მოუხატავს შენი წიგნი გუდიასვილს! ველი ტელეგადაცემას — „ვარშანიძე — სტუდიაში!“

ზაურ ბოლქვაძე

საჩხერის გახსენება ახალ წელს

საჩხერლებს ძველ წელიწადთან, მადლობის მეტი, რა ეთქმით? — არასდროს არა ჰქონიათ წელი შექსავესე ასეთი! — მოსავლის სვავად აქციეს ყველა ზვარი და ნაკვეთი, თუ დასჭირდებათ, ყვირილას შეაბრუნებენ დაკვეთით.

ხარობს გლეხკაცის ოჯახი, მძღაფრობს გლეხკაცის მარჯვენა, ოდა-სახლებმა იმრავლა, ღვინმა იმატა ასჯერა!.. ეს არის ხალხის სურვილი; ეს არის ხალხის მუქარა, — აკაკის საგაზრდილოში არ იყოს ერთი უქნარაქ!

ისე აშენდა, დამშვენდა, დღეს ვეღარ იცნობ რაიონს, მოედნებსა და ქუჩებში ყველგან ყვავილი ყვავილობს. აივნებსა და ტიშკრებზე ყველგან ჩუქურთმა გიციინის, ბავშვების ჯარი ნავარდობს ნაიალადარ კვიცივით.

საკულტო დღეობებისა იყო ყოველ წელს მრავლობა: მარიობა და აღდგომა, შობა და პეტრე-პავლობა, დანგრეულ ეკლესიებთან ღამის თევა და ლოცვანი, ლოთობა, ჩხუბი, ღრეობა, ხალხი ალოზე მომცდარი.

ერთბაშად ზურგი აქციეს მავნე ჩვევებს და ადათებს, დღე დააწესეს აკაკის, დღესასწაული გამართეს! აჩვენეს შრომის ზეიმი რა დიდებული, რა კარგი! მოდინახედან ღიმილით გადმოგვეყურებდა აკაკი!..

მეც სხვებთან ერთად ვლადობდი, ხალხს შევხაროდი გულგამულით, ზეიმის შემდეგ წავედი მერჯევის ზემო უბანში, მივიჩქაროდი დედასთან, სიხარულს ვეღარ ვმალავდი, უეცრად ჩაქრა მანქანა, ტალახ-წუმპეში ჩავვარდი.

ვიწვალე, ვეღარ ამოველ, სიმწრით ვიგლიჯე უღვამი, ვერ იქნა, ვერ მივადწიე მერჯევის ზემო უბანში!.. გხვდები ღვინით და იმედით შენ, წელიწადო ახალთ, მერჯევის ზემო უბანშიც, რომ ნანატრი გზა გვახარო!

ნოდარ შამანაძე

დიდებულია ყანწი!

ზვრებით დაფარულ სოფელში დავიბადე. თვალი რომ გავახილე, პირველად ვაზს შევხედე, ქარვისფერმა მტვენებმა ღიმილი შემომაფრქვიეს, მეც გულუბრყვილოდ გავუცინე დათაფლულ მტვენებს, რომლებიც შეზარხსმებული მაყრებივით ირწეოდნენ სექტემბრის ნიავში.

ოთხი წლის რომ ვიყავი, თელის ჩეროში დედას კალთაში ვუჭექი და ძუძუს ვწოვი. ჭურისთავიდან ბაბუამ ღამიძახა, სავსე ქვევრთან მიმიყვანა, ორშიმითი ღვინო ამოიღო, ჯერ თვითონ მოიყუდა, მერე მე მითხრა: „აბა, შა! შენც ასე მოიყუდე და გადაშკარი! აბა, მიდი!“ გამათამაშა ბაბუამ და ორშიმო ხელში მომცა. ზუსტად შევასრულე ბაბუას ნათქვამი, ორშიმო მოვიყუდე და... „კარგი! კმარა! გეყოფა!“ — დამძახოდა ბაბუაჩემი და ორშიმო ძლივს გამომგლიჯა. მას შემდეგ, ძუძუ აღარ მიწოვია...

წამოვიზარდე თუ არა, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე ყანწმა მოახდინა და არცთუ უსაფუძვლოდ. გაგივსებენ ყანწს და, თუ არ დალიე, ძირს ვერ დადგამ, დადგამ და წაიქცევა, ღვინო დაიქცევა! მეტი გზა არ არის, უნდა დალიო, უნდა დალიო ბოლომდე, წვეთის დატოვებაც კი არ ხერხდება! რა დიდებული გამოგონებაა, არა?! იქნებ ვინმე შემომედაოს, ბროლის თასი, ან ვერცხლის აზარფეშა ჯობიაო! არა, ბატონო, არა და, აი, რატომ: ამას წინათ ერთ დიდ პურობაზე გახლდით. ეშხში შესულმა თამადამ ბრძანა, მაგიდაზე ღვინის ქიქები არ დავიანხოო, და ხელში მოზრდილი ბროლის თასი შეათამაშა. გაჩაღდა სმა ბროლის თასებით. ყოველ ახალ საღმებრძელოზე თასი თანდათან იზრდებოდა. ორ-

ქიქიანს სამქიქიანი ცვლიდა, სამქიქიანს — ოთხქიქიანი, და... აი, თამადამ ვეებერთელა თასში ორი ლიტრი ჩააპირქვა. „ბროლის თასით გადმოვდივარ ალავერდს!“ — ჩაისლოკინ ჩაილიღინა და პირამდე ავსებულ ბროლის თასი გადმომაწოდა. გაჩახჩახებულ ქაღალის შუქი ბროლის ვეება თასს დაედვარა, აირეკლა და თვლებში პროექტორივით მომანათა. ელავდა ბროლი... ველავდი მე... თასი ხელში ავიღე და, როგორც ბაღლობაში ორშიმო, ტუჩებზე ისე ოსტატურად მოვიყუდე... უცებ ყველაფერი დატრიალდა, დატორტმანდა, წონასწორობა დაკვარვე, ადგილს მოვწყვიდი... ბროლის თასმა ჰაერში გაიფლავა და იატაკზე ნამსხვრევებად იქცა... თვალები გავახილე. ჩემს გარშემო ბროლის ნამსხვრევები თასფრად ელავდნენ, ციმციმებდნენ იატაკზე დამღვარი ღვინის გუბეში.

უაზროდ მიმოვიხილე. ყველა მე შემომჩერებოდა. — კისერი მოეტეხა და ეგ არ გაეტეხა! — შემომესმა მეზობელი ოთახიდან ჩურჩული. — არ დამღუპა კაცი?! საღდა ვიშოვი ასეთ თორმეტქიქიანს?! იმ ნამსხვრევებთან ერთად სანაგვე ყუთში უნდა გადაუძახო მაგ ფეთხლუმს! — შეეპასუხა ვიღაცა ბოხი ხმით. მე გულში ყანწი ვინატრე. უნიკალური სახმისია ყანწი! რამდენჯერ დავცემულვარ ყანწიანად, მუხლები გადამყვლეფია, თავი გამტეხია, ფეხი მიღრძია, მაგრამ ყანწს, ნაპირიც კი არ ჩამოტეხია... დიდებულია ყანწი! რას იტყვით, შა?!

გუგან სვანიძე

7 1977

პენტაგონი გეგმავს „მ-ჯ“-ის ტიპის რაკეტებით შეცვალოს საკონტინენტაშორისო ბალისტიკური რაკეტები — მინიტმენ-3. წინასწარი შეფასებით, ამ რაკეტის მშენებლობა ამერიკელ გადამხდელებს დაუჯდებათ სულ ცოტა 30 მილიარდი დოლარი.

გაზეთიდან

ქვირვასი სამკაული

